

შეტყობინება მეორე  
ლმერთი, ადამიანი და სატანა

ადგილები წერილიდან: ოობ. 1:6-12; 2:1-7; მთვ 12:26;  
ებრ. 2:14; ოომ. 16:20; გამოცხ. 12:5, 7-11

- I. მთელი ბიბლია წარმოადგენს მონათხრობს იმაზე, რაც შეეხება ლმერთს, ადამიანს და სატანას; ამიტომ, ჩვენ მიერ ბიბლიის კითხვისას, ჩვენ უნდა ვიცოდეთ არა მარტო ის, რაც შეეხება ლმერთს და ადამიანს, არამედ ისიც, რაც შეეხება სატანას – დაბ. 1:1, 26-28; 3:1, 4, 15; ესაია 14:12-14; ეზეკ. 28:12-19:
- ა. სატანა იყო ანგელოზი და ცხებული ქერუბიმი, შექმნილი ლმერთის მიერ მანამდე, სანამ ლმერთი შექმნილი დედამიწას; ის იყო უმაღლესი ანგელოზებს შორის – მუხ. 12:15; ოობი 38:4-7:
1. სატანა იყო „მნათობი, ძე განთიადისა“ (ესაია 14:12), ერთ-ერთი პირველი ანგელოზი, შექმნილი ლმერთის მიერ სამყაროს „განთიადზე“; დანიშნული ლმერთის მიერ ყველა ანგელოზის თავად (ეზეკ. 28:14; ოუდა 9).
  2. ცხებული ქერუბიმი იყო დანიშნული ლმერთის მიერ, რომ ემართა ადამამდელი სამყარო (ლუკა 4:6); ცხებული ქერუბიმი იყო ყველაზე ახლოს ლმერთთან და, რადგან მას ჰქონდა მეფობაც და მდვდლობაც, ის იკავებდა უმაღლეს მდგომარეობას ლმერთის ქმნილებაში (ეზეკ. 28:13).
- ბ. სატანის ჯანყი ლმერთის წინააღმდეგ ნაჩვენებია ესაიას 14:13-სა და ეზეკ. 28:15-18-ში:
1. სატანა აჯანყდა ლმერთის წინააღმდეგ სიამაყის გამო თავის გულში; მისი გული ამაღლდა მისი სილამაზის გამო – ესაია 14:13-14; ეზეკ. 28:17.
  2. სატანას განზრახული ჰქონდა, დაემხო ლმერთის ძალაუფლება და აემაღლებინა თავისი თავი იმდენად, რომ ყოფილიყო ლმერთის ტოლი; როდესაც ის აჯანყდა ლმერთის წინააღმდეგ, სატანას უნდოდა, რომ ყოფილიყო ერთ დონეზე ლმერთთან – ესაია 14:13.
- გ. თავისი ჯანყის გამო, სატანა გახდა ლმერთის მოწინააღმდეგ, ლმერთის მტერი – ზაქ. 3:1-2; გამოცხ. 12:9ა; 20:2ა:
1. „სატანა“ ნიშნავს „მოწინაამდეგეს“, როგორც ლმერთის მოწინააღმდეგე, სატანა ეწინააღმდეგება ლმერთს – ოობი 1:7, 12; 2:1, 6; გამოცხ. 20:2.
  2. „მტერი“ აღნიშნავს მტერს ლმერთის სამეფოს გარეთ, ხოლო „მოწინააღმდეგე“ მიუთითებს მტერზე ლმერთის სამეფოს შიგნით.
  3. სატანა არის არა მარტო ლმერთის მტერი ლმერთის სამეფოს გარეთ, ის ასევე არის ლმერთის მოწინააღმდეგ ლმერთის სამეფოს შიგნით რომელიც ჯანყობს ლმერთის წინააღმდეგ.
- II. სურათი ოობის წიგნის 1-ლ და მე-2 თავებში აღწერს ორ თათბირს, ჩატარებულს ზეცაში ოობთან დაკავშირებით – 1:6-12; 2:1-7:
- ა. თავისი სიყვარულით ავსებული ზრუნვის შედეგად ოობზე, ლმერთმა ჩატარა ზეცაში ორი თათბირი, რათა ელაპარაკა ოობზე – 1:6; 2:1.

- ბ. „ღმერთის ძეები“, ანგელოზები, მოვიდნენ, რომ წარმდგარიყვნენ იქთვას წინაშე, და მათ შორის მოვიდა სატანა, მოწინააღმდეგე – 1:6; 2:1; 38:7; შდრ. 3 მეფ. 22:19-23; ფსალ. 89:5-8:
1. მას შემდეგ, რაც სატანა აჯანყდა ღმერთის წინააღმდეგ, ღმერთმა მსჯავრი დასდო მას და განაჩენიც გამოუტანა – ესაია 14:12-15; ეზე. 28:12-19.
  2. სატანის უფლება, რომ შევიდეს ღმერთის თანდასწრებაში ჯერ კიდევ არა აქვს მას ჩამორთმეული – შდრ. გამოცხ. 12:10.
- გ. თავის სიბრძნესა და თავის უზენაესობაში ღმერთს არ მოუყვანია აღსრულებაში თავისი სამსჯავრო სატანაზე, მან მიატოვა სატანა გარკვეული შეზღუდული დროის განმავლობაში, რათა მას გაეკეთებინა რაღაც გარკვეული უარყოფითი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომელიც წარმოიშვა ღმერთის სახლმშენებლობის ასრულების დროს:
1. ღმერთს არ შეეძლო და არ უნდოდა ეთხოვა რომელიმესთვის თავისი მრავალი აღმატებული ანგელოზიდან, რომ განეხორციელებინათ აუცილებელი ქმედებები, რათა მიეყნებინათ ზიანი იობისათვის იმ მიზნით, რომ მას დაეკარგა ყველაფერი, რათა ის ყოფილიყო ავხებული ღმერთით – იობი 1:1, 8, 11-12; 2:3-7.
  2. სატანა იყო ერთადერთი სამყაროში, ვისაც შეეძლო და მზად იყო, რომ შეესრულებინა ღმერთის განზრახვა – მოეშორებინა იობისთვის მისი სიმდიდრე და მისი ზნეობრივი მიღწევები – მუხ. 3.
  3. სურათი იობის წიგნის 1-ლ და მე-2 თავებში გვიჩვენებს, რომ სატანა რჩება თავისუფლებაზე იმ მიზნით, რომ ღმერთმა შეძლოს გამოყენოს ის როგორც მახინჯი იარაღი თავისი მკაცრი სამუშაოს ჩასატარებლად მის მოყვარულებზე – შდრ. ლუკა 22:31-32.

### **III. სატანას აქვს თავისი სამეფო, სიბრძნის ძალაუფლება – მათე 12:26; საქმე. 26:18; კოლ. 1:13:**

- ა. სატანას აქვს თავისი ძალაუფლება (საქმე. 26:18) და ჰყავს თავისი ანგელოზები (მათე 25:41), რომლებიც მას ემორჩილებიან როგორც ხელმწიფებანი, ძალაუფლებანი და ამ ქვენიერების სიბრძნის მმართველები; ამგვარად, მას აქვს თავისი სამეფო, სიბრძნის ძალაუფლება (კოლ. 1:13).
- ბ. სატანა არის მმართველი ამ ქვენიერების და პაერის ძალაუფლების მმართველი – იოანე 12:31; ეფე. 2:2:
1. სიტყვა „ხული“ (მუხ. 2) არის დამატება გამოთქმაზე „პაշრის ძალაუფლება“ და აღნიშნავს კრებით ძალას, ყველა ბოროტი ანგელოზური ძალაუფლების ჯამს, რომლის მმართველიც არის სატანა.
  2. როდესაც ჩვენ ვიყავით მკვდრები დანაშაულებსა და ცოდვებში (მუხ. 1), ჩვენ დავდიოდით „ამ ქვენიერების საუკუნის“ (მუხ. 2), თანამედროვე იერსახის, დღევანდელი დინების, ქვეყნიერების, სატანური სისტემის თანახმად.
  3. ხელმწიფებანი, ძალაუფლებები და მმართველები ამ სიბრძნისა – არიან აჯანყებული ანგელოზები, რომლებიც გაჰყვნენ სატანას მის ჯანყში

ღმერთის წინააღმდეგ და რომლებიც ახლა ზეციურ საზღვრებში  
მართავენ ქვეყნიერების ხალხებს – დან. 10:20.

4. აქედან გამომდინარეობს, რომ ეშმაკს, სატანას, აქვს თავისი სამეფო,  
რომელშიც მას უკავია უმაღლესი მდგომარეობა, და რომელშიც  
აჯანყებული ანგელოზები ემორჩილებიან მას.

**IV. თავისი მსახურებით დედამიწაზე და თავისი სიკვდილით ჯვარზე უფალმა იესომ  
მოიპოვა გამარჯვება სატანაზე – 1 იოანე 3:8; მათე 27:51-53; კოლ. 2:14-15; ებრ. 2:14:**

- ა. თავის მიწიერ მსახურებაში გამარჯვებულმა ქრისტემ გაიმარჯვა ეშმაკზე და  
გაანადგურა მისი საქმეები – მათე 4:1-11; 1 იოანე 3:8:

1. იმისათვის, რომ აღესრულებინა თავისი მსახურება ცათა სამეფოსათვის,  
უფალ იესოს უნდა მოეპოვებინა გამარჯვება ღმერთის მტერზე, ეშმაკზე,  
სატანაზე – მათე 4:1, 11:

ა) ამის გასაკეთებლად ის უნდა ყოფილიყო ადამიანი, ამიტომ  
ღმერთის მტრის წინააღმდეგ დაპირისპირებისას ის იყო როგორც  
ადამიანი – მუხ. 6-7.

ბ) როდესაც აცდუნებდა პირველ ადამიანს, ადამს, ეშმაკმა მაღწია  
წარმატებას; მეორე ადამიანის, ქრისტეს, გამოცდისას, მან  
განიცადა სრული მარცხი – მუხ. 11.

2. თავისი მსახურებისას დედამიწაზე უფალმა იესომ გაანადგურა ეშმაკის  
საქმეები – 1 იოანე 3:8:

ა) 1 იოანეს 3:8-ში ბერძნული სიტყვა, ნათარგმნი როგორც  
„გაანადგურება“, შეიძლება ასევე ითარგმნოს როგორც „გაფუჭება“  
ან „დამსხვრევა“.

ბ) ღმერთის ძე გამოვლინდა იმისათვის, რომ გაეფუჭებინა და  
გაენადგურებინა ცოდვიანი საქმეები ეშმაკისა, ანუ მსჯავრი დაედო  
თავისი სიკვდილის მეშვეობით ჯვარზე ხორცში ცოდვისათვის,  
რომელსაც მან, ბოროტმა, დაუდო დასაწყისი; იმისათვის, რომ  
გაენადგურებინა ცოდვის ძალა, ცოდვიანი ბუნება ეშმაკისა; და  
რომ წაედო ცოდვა, და ცოდვები – რომ. 8:3; ებრ. 2:14; იოანე 1:29.

- ბ. თავის ჯვარცმაში გამარჯვებულმა ქრისტემ განდევნა ამ ქვეყნიერების  
მმართველი, გაანადგურა ეშმაკი, გააკეთა ისე, რომ ხელმწიფებანი და  
ძალაუფლებანი ყოფილიყო ჩამოგდებული, და გააუქმა სიკვდილი – 12:31;  
მათე 27:51; ებრ. 2:14; კოლ. 2:15; 2 ტიმ. 1:10:

1. თავისი მუშაობისას ჯვარზე ქრისტემ განდევნა გარეთ ამ ქვეყნიერების  
მმართველი და გაასამართლა ქვეყნიერება – იოანე 12:31:

ა) ამ ქვეყნიერების მმართველი იყო გაგდებული, როდესაც  
გაგდებული იყო სატანა ქრისტეს მუშაობის შედეგად მის  
სიკვდილში; იმავდროულად გასამართლდა სატანასთან  
დაკავშირებული ქვეყნიერების სისტემა – 1 იოანე 5:19.

ბ) შეირყა სატანის ჯანყის საყრდენი, და დაინგრა სატანის მიწიური  
სამეფოს სიმაგრეები – მათე 27:51.

2. თავის ჯვარცმაში ქრისტემ გაანადგურა ეშმაკი – ებრ. 2:14:

- ა) მე-14 მუხლში ბერძნული სიტყვა, ნათარგმნი როგორც „განადგურება“, შეიძლება ასევე ითარგმნოს როგორც „არაფრად გადაქცია“, „წაართვა ძალა“, „გაუმკლავდა“, „გააუქმა“, „აღმოფხვრა“.
- ბ) თავის ადამიანობაში და თავისი სამუშაოს მეშვეობით ჯვარზე ქრისტემ გაანადგურა ეშმაკი – იოანე 3:14.
3. თავს სამუშაოში ჯვარზე, ქრისტემ მისცა ღმერთს შესაძლებლობა რომ ჩამოეგდო ანგელოზური ხელმწიფებანი და ძალაუფლებები, დიად გამოეაშკარავებინა საჩვენებლად და ეზეიმა მათზე – კორ. 2:15.
4. თავის სამუშაოში ჯვარზე ქრისტემ გააუქმა სიკვდილი, დააკარგვინა მას ძალა, თავისი ეშმაკის-გამანადგურებელი სიკვდილით (ებრ. 2:14) და სიკვდილის მშთანთქმელი ადდგომით (1 კორ. 15:52-54) – 2 ტიმ. 1:10.
- გ. სამეფოს სახარების მეშვეობით ღმერთს მიჰყავს ადამიანები ზეციური ძალაუფლების მმართველობის ქვეშ, რათა ისინი გახდნენ მისი სამეფო, ისინი, ვინც არიან მისი ძალაუფლების მმართველობის ქვეშ – მათე 24:14; გამოცხ. 1:5-6.
- V. ჩვენ, ქრისტე იესოში მორწმუნებმა და ღმერთის შვილებმა, უნდა ვისწავლოთ ქრისტეში გამარვების მოპოვება სატანაზე – ეფეს. 6:12; 1 პეტ. 5:8-9; 1 იოანე 5:18:
- ა. ჩვენთვის არ უნდა იყოს უცნობი სატანის ზრახვები – 2 კორ. 2:11:
1. ბერძნული სიტყვა, ნათარგმნი როგორც „ზრახვები“, აღნიშნავს „გეგმებს, ხრისტებს, მცდელობებს, ნებას, განზრახვებს, მიზნებს“.
  2. ბოროტი, სატანა, არის სცენის უკან ყველაფერში და მუშაობს ყველაფერში, ეკლესიურ ცხოვრებაშიც კი.
- ბ. ჩვენ უნდა შევიმოსოთ ღმერთის ყველა საჭურველით, რათა ჩვენ შევძლოთ წინადვეუდგეთ ეშმაკის ხრისტებს – ეფეს. 6:11:
1. ეშმაკს აქვს არა მარტო ბოროტი განზრახვები, მას აქვს ასევე დამაბნეველი ხრისტებიც, რომლებიც ასრულებენ მის განზრახვას; ეს ხრისტები წარმოადგენს მის ბოროტ ჩანაფიქრებს.
  2. შემოსვა ღმერთის ყველა საჭურველის საშუალებას გვაძლევს, ჩვენ წინადვეუდგეთ ეშმაკის ხრისტებს – მუხ. 11.
  3. სატანის ხრისტებიდან ერთ-ერთი უზენაესის წმიდანების წინააღმდეგ, არის ის, რომ გამოფიტოს ისინი (დან. 7:21, 25); როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ სატანა გვფიტავს ჩვენ, ჩვენ გაგვიჩნდება ძალა, რომ შევეწინააღმდეგოთ და წინააღმდეგობა გავუწიოთ მის დამდლელ ტაქტიკას.
- გ. ჩვენ უნდა ვიფხიზლოთ ჩვენს მოწინააღმდეგებთან, ეშმაკთან, მიმართებით, რომელიც „დაძრწის როგორც მბრძლვინავი ლომი და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს“ – 1 პეტ. 5:8:
1. ვიფხიზლოთ – ნიშნავს ვიყოთ ყურადღებით, როგორც ომში, როგორც ჯარისკაცები წინა ხაზზე.
  2. სიტყვა „იფხიზლეთ“ 1 პეტ. 5:8-ში გულისხმობს ბრძოლას; ჩვენ მონაწილეობას ვდებულობთ ომში, და ჩვენ უნდა ვიყოთ ყურადღებით.

3. თუ ჩვენ ვიქნებით ყურადღებით, ჩვენ წინადვუდგებით ჩვენს მოწინააღმდეგებს, ვიქნებით მტკიცენი ჩვენს რწმენაში – მუხ. 9:
- ა) წინ აღვუდგეთ – არ ნიშნავს, რომ შევიწინააღმდეგოთ და გებრძოლოთ, არამედ ვიდგეთ მბრძლვინავი ლომის წინ მტკიცედ, კლდის მსგავსად, ჩვენი რწმენის საფუძველზე.
  - ბ) რწმენაში 1 პეტ. 59-ში იგულისხმება მორწმუნების სუბიექტური რწმენა, მათი რწმენა დმერთის დამცავ ძალაში და სიყვარულით სავსე ზრუნვაში.
- დ. საუკეთესო საშუალება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ სატანაზე, – არის, ვიცხოვოთ შერწყმულ სულში – 1 კორ. 6:17; 1 ოთანე 5:18:
1. არის მხოლოდ ერთი ადგილი, სადაც სატანას არ შეუძლია, რომ შეაღწიოს, – ჩვენი სული – 2 ტიმ. 4:22.
  2. ვართ თუ არა სატანის ძალაუფლების ქვეშ, განისაზღვრება არა იმით, თუ რას ვაკეთებთ; ეს განისაზღვრება იმით, ჩვენ სულში ვართ თუ ხორცში – გალ. 5:16-17.
  3. სანამ ჩვენ დავრჩებით შერწყმულ სულში, ჩვენ ვიქნებით შენახულნი და სატანა ვერაფერს ვერ შეძლებს, რომ გააკეთოს ჩვენთან მიმართებით – 1 კორ. 6:17; 1 ოთანე 5:4-5, 18-21.
- VI. „მშვიდობის დმერთი მალე თქვენს ფერხთით შემუსრავს სატანას“ – რომ. 16:20:**
- ა. იმისათვის, რომ სატანა იყოს შემუსრული, საჭიროა ეკლესიური ცხოვრება – ყველაზე ეფექტური საშუალება, რომლის დახმარებითაც დმერთი იმარჯვებს სატანაზე – მუხ. 20, 1, 16ბ.
  - ბ. ბერძნულ სიტყვას, ნათარგმნები როგორც „თქვენს“ რომ. 16:20-ში, აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა; ეს მიუთითებს სხეულზე – 12:5:
    1. რომაელთა მიმართ წერილის მე-16 თავში საუბარია სხეულზე არა სამყაროსეული აზრით; მასში საუბარია სხეულის ადგილობრივ და პრაქტიკულ გამოხატულებაზე.
    2. სატანას ბოლო უნდა მოუდოს სხეულმა, და არა ცალკეულმა ადამიანებმა.
    3. სატანა შეიძლება იყოს შემუსრული მხოლოდ სხეულის პრაქტიკული გამოხატულების ფერხთით ადგილობრივ ეკლესიებში – 12:5; 16:1, 4, 16ბ.
    4. სატანა შემუსრულია ჩვენს ფერხთით მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გვაქვს სათანადო ადგილობრივი ეკლესია როგორც სხეულის პრაქტიკული გამოხატულება – მუხ. 20.
  - გ. აღსანიშნავია, რომ ის, ვინც შემუსრავს სატანას ჩვენს ფერხთ ქვეშ არის სწორედ მშვიდობის დმერთი – მუხ. 20:
    1. მშვიდობის დმერთი არის გამარტინირებული, მის გამომიდანებელი, მოაქვს მშვიდობა – 1 ოქს. 5:23.
    2. როდესაც ჩვენ მოლიანად გაწმიდანებულნი ვართ მის მიერ შინაგანად, ჩვენ გვაქვს მშვიდობა მასთან და ადამიანთან ყველა საკითხში – მუხ. 13; რომ. 6:19, 22; გბრ. 13:12.

3. ღმერთის მშვიდობა იცავს ჩვენს გულებს და ჩვენს აზრებს, დგას ჩვენი გულების და აზრების სადარაჯოზე, რადგან მშვიდობის ღმერთი ახორციელებს ჩვენი გულების და აზრების დაცვას ქრისტეში, არ უშებს ჩვენი მოსვენებისა და მშვიდობის დარღვევას – ფილიპ. 4:7.
- VII. მას შემდეგ, რაც ვაჟი ატაცებულ იქნება ღმერთის ტახტთან, ზეცაში მოხდება ომი, სატანა და მისი ანგელოზები აღმოჩნდებიან ჩამოგდებულნი დედამიწაზე და გამოვლინება ღმერთის სამეფო – გამოცხ. 12:5, 7-11:
- ა. ვაჟი შედგება გამარჯვებულებისაგან, რომლებიც გამოდიან ეკლესიის სახელით, იკავებენ მდგომარეობას, რომელიც უნდა დაიკავოს მთელმა ეკლესიამ, და ასრულებს ეკლესიის სამუშაოს – 2:7ბ, 11ბ, 12:5:
1. ვაჟი ყოველთვის დაკავებულია ღმერთის მტერთან, სატანასთან, ბრძოლით, და ყოველთვის აწარმოებს მას დედამიწაზე.
  2. ზეცა ელოდება, როდესაც იქ გამოჩნდება ვაჟი, გამარჯვებულები, რათა აწარმოონ ომი იმ მიზნით, რომ გადმოაგდონ სატანა ზეციდან:
    - ა) ომი, რომელსაც გამარჯვებული წმიდანები აწარმოებენ სატანის წინააღმდეგ, არის, არსებითად, უფლის სამსჯავროს აღსრულება მასზე – იოანე 12:31.
    - ბ) საბოლოოდ მათი ბრძოლის წყალობით სატანა იქნება ჩამოგდებული ზეციდან – გამოცხ. 12:8-9.
  - ბ. ეშმაკი, ცილისმწამებელი, ახლა ცილს სწამებს მორწმუნებს ღმერთის წინაშე დღე და დამკ, მაგრამ გამარჯვებული მორწმუნები, რომლებიც შეადგენენ ვაჟს, და რომლებსაც ეწინააღმდეგებოდა და რომლებსაც ცილს სწამებდა ღმერთის მტერი, სატანა, იმარჯვებს მასზე – მუხ. 10-11:
  1. ისინი იმარჯვებენ მასზე „კრავის სისხლის მეშვეობით“ – მუხ. 11ა:
    - ა) კრავის სისხლი, განკუთვნილი ჩვენი გამოსყიდვისათვის, პასუხობს ღმერთის წინაშე ეშმაკის ყველა ცილისწამებაზე ჩვენ წინააღმდეგ, და გვაძლევს ჩვენ გამარჯვებას მასზე.
    - ბ) ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს სისხლი ყოველთვის, როდესაც ჩვენ გარძნობთ ეშმაკის ცილისწამებას – რომ. 3:25; 1 იოანე 1:7.
  2. ისინი იმარჯვებენ მასზე „თავიანთი მოწმობის სიტყვით“ – გამოცხ. 12:11ბ:
    - ა) მათი მოწმობის სიტყვა – ეს არის სიტყვა, რომელიც მოწმობს, რომ უფალმა უკვე განახორციელა სამსჯავრო ეშმაკზე – იოანე 12:31; ებრ. 2:14.
    - ბ) ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვგრძნობთ ეშმაკის ცილისწამებას, ჩვენ ამაღლებული სიტყვით უნდა განვაცხადოთ უფლის გამარჯვება მასზე.
  3. გამარჯვებულებს არ უყვართ თავიანთი მშვინვა-სიცოცხლე – გამოცხ. 12:11გ:
    - ა) ის, რომ ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი მშვინვა-სიცოცხლე, არის სატანაზე გამარჯვების საფუძველი, ჩვენი გამარჯვების საფუძველი სატანაზე.

- ბ) ის, რომ ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი მშვინვა-სიცოცხლე, ნიშნავს, რომ ჩვენ მზად ვართ უარი ვთქვათ საკუთარ მშვინვა-სიცოცხლეზე და რომ ჩვენ არ ვზრუნავთ ჩვენს საკუთარ მშვინვა-სიცოცხლეზე – მარკ. 8:34-35.
- გ) სატანას ეშინია მხოლოდ ერთი სახის ადამიანების – მათი, ვისაც არ უყვარს თავისი საკუთარი მშვინვა-სიცოცხლე – გამოცხ. 12:11გ
- გ. ვაჟი დაკავშირებულია ღმერთის ყველაზე მნიშვნელოვან მოწყობით მოძრაობასთან – მათგ 6:9-10; გამოცხ. 11:15; 12:10:
1. ღმერთს სურს, რომ დაასრულოს ეს საუკუნე და მოიტანოს სამეფოს საუკუნე, და ამისათვის მან უნდა მიიღოს ვაჟი როგორც თავისი მოწყობითი იარაღი – მუხ. 5.
  2. ვაჟის ატაცებას დასასრულისკენ მიჰყავს ეკლესიის საუკუნე და მოჰყავს სამეფოს საუკუნე – მუხ. 5, 10.
  3. ვაჟის ატაცება ღმერთის ტახტან, სატანის ჩამოგდება დედამიწაზე და განცხადება ზეცაში აღნიშნავს, რომ ვაჟი მოიტანს სამეფოს დედამიწაზე; ეს არის ღმერთის უმაღლესი მოწყობითი მოძრაობა – მუხ. 5, 9-10; 11:15.

## კვირა 2 – დღე 1

### დილის საკვები

ესაია 9:6	რადგან ყრმა შეგვეძინა, ძე მოგვეცა; და მის მხრებზეა მმართველობა...
1 პეტ. 1:17	თუ მამას უწოდებთ მას, ვინც მიუკერძოებლად ასამართლებს თითოეულს საქმეთა მიხედვით, მაშინ მოშიშებით გაატარეთ თქვენი სიზნობის დრო.

თავის ორ წერილში პეტრე განიხილავს ღმერთის სამყაროსეული მმართველობის, ანუ მთავრობის თემას. ამ ორ წიგნში საუბარია ღმერთის სამყაროსეულ მთავრობაზე.

როგორც ვიცით, მათეს სახარებაში განხილულია სამეფო. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობა და სამეფო ერთი და იგივე რამ არის. არა, მთავრობა ერთია, ხოლო სამეფო სხვა რამ არის. ნებისმიერ ქვეყანაში, ანუ სახელმწიფოში, არის მთავრობა. მაგრამ მთავრობა არ არის სახელმწიფო. მთავრობა არის სახელმწიფოს ადმინისტრაციული ცენტრი. მაგალითად, მთავრობა ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) არის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციული ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ მათეს სახარებაში წარმოდგენილია სამეფო, ამ წიგნში არ არის საუბარი მთავრობაზე. ღმერთის მთავრობას ჩვენ ვხედავთ პეტრეს წერილებში.

ღმერთი მართავს სასამართლოს მეშვეობით. სწორედ ასე ახორციელებს ღმერთი თავის მთავრობას. როგორც ხანდაზმულმა ადამიანმა, რომელმაც შესწავლის შედეგად, და ასევე დაკვირვების შედეგად, მიიღო გარკვეული ცოდნა მსოფლიოს ისტორიის სფეროში, მე შემიძლია დავამოწმო, რომ მუხლს ვიდრეკ ღმერთის წინაშე. ის არის მმართველი, და ის მართავს სასამართლოს მეშვეობით. ღმერთმა გაასამართლა ჰიტლერი, სტალინი და სხვა ადამიანები, რომლებიც ხადიოდნენ ბოროტებას („პეტრეს პირველი წერილის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 11-12).

## დღეს წასაკითხი

ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ღმერთი ასამართლებს მხოლოდ მათ, ვინც ბოროტებას ხადის, ჰიტლერისა და სტალინის მსგავსად. ღმერთი ასევე ასამართლებს საკუთარ ხალხსაც. 1 პეტ. 4:17-ის თანახმად, ღმერთის სამთავრობო სასამართლო იწყება მისი საკუთარი სახლიდან: „ვინაიდან მოვიდა დრო, რომ ღმერთის სახლიდან დაიწყოს გასამართლება; და თუ ის ჩვენგან დაიწყება, რადა აღსასრული ელით ღმერთის სახარების ურჩებს?“ ეს არის ღმერთის მმართველობა.

რა არის ღმერთის სამთავრობო სასამართლოს მიზანი? ღმერთი აწყობს სასამართლოს, იმისათვის, რომ გაწმინდოს თავისი სამყარო. სამყარო შეიქმნა ღმერთის მიერ დადგებითი მიზნით, მაგრამ სატანა ჩაერია და წაბილწა სამყარო. ახლა ღმერთი განწმენდს სამყაროს სასამართლოს მეშვეობით. ის ატარებს საფუძვლიან სამუშაოს სამყაროს განწმენდის თვალსაზრისით. საბოლოოდ სამყარო იქნება ახალი. იცით, რა არის მნიშვნელობა ახალი ცისა და ახალი მიწისა, რომელზეც პეტრეს მეორე წერილის მე-3 თავშია საუბარი? მათი მნიშვნელობა არის ის, რომ ისინი მიუთითებენ ღმერთის სამყაროს სიახლეზე.

მაგრამ ღმერთს არ სურს, რომ იცხოვროს და დამკვიდრდეს უწმინდეულ ადგილას. ამიტომაც ღმერთი ასუფთავებს, განწმენდს სამყაროს. თავიდან ის გვასუფთავებს ჩვენ, ანუ თავის სახლს. ახლა ჩვენ ვართ ღმერთის განწმენდელი სამუშაოს ცენტრი. განა თქვენ დროდარდო არ ეუბნებით საკუთარ თავს: „რატომ ხდება, რომ რაც უფრო მეტად მიყვარს უფალი იქსო, უფრო მეტად მიჭირს? ჩემი ნათესავები აყვავდნენ, მათ ყველაფერი კარგად აქვთ, მაგრამ ჩემი მდგომარეობა, როგორც ჩანს, უფრო და უფრო უარესდება“? ზოგიერთ წმიდანს უწნდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგი შვილებთან დაკავშირებით არის გულგატებილი. ჩვენ ვაწყდებით სირთულეებს იმიტომ, რომ ღმერთის სასამართლო იწყება მისი საკუთარი სახლიდან. ჩვენ ვართ ღმერთის სასამართლოს ქვეშ.

პეტრეს ორი წერილის, განსაკუთრებით პირველის, დაწერის მიზეზი არის ის, რომ გაფანტული იუდეველი მორწმუნები განიცდიდდნენ დევნას. ისინი გადიოდნენ გამოცდას ცეცხლით. პეტრე ამ დევნას ადარებს ანთებულ დუმელს. იმის გამო, რომ მორწმუნები შფოთავდნენ, და, შესაძლოა, დაგჭვებული იყენენ, პეტრემ მისწერა მათ, რომ დაემოძღვრა, და ასევე ენუგეშებინა ისინი. 1 პეტ. 5:10-ში ის ამბობს: „ხოლო ყოველგვარი მადლის ღმერთი, რომელმაც მოგიწოდათ თავისი მარადიული დიდებისაკენ ქრისტე იესოში, თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ თვითონ სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და დაგაფუძნებთ“. აქ პეტრე თითქოს ეუბნება მორწმუნებს, რომ ისინი არ უნდა დაგჭვებულიყვნენ, რადგან ღმერთი სრულყოფდა მათ. მსავსად იმისა, როგორც თლიან ქვებს, ჩვენც უნდა „გავითალოთ“, რათა ვიყოთ სრულყოფილი, გაძლიერებული, განმტკიცებული და დაფუძნებული. პეტრე წერდა, რათა ენუგეშებინა ტანჯული, დევნილი წმიდანები, და ეჩვენებინა მათვის, რომ ისინი ყველანი იმყოფებოდნენ ღმერთის მმართველობის ქვეშ. ღმერთის მმართველობა ხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, თავისი შვილების მიმართ („პეტრეს პირველი წერილის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 12-13).

## კვირა 2 – დღე 2

### დილის საკები

1 პეტ. 2:21	...ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და ნიმუში დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ....
23	რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ პასუხობდა; იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა არამედ ყველაფერს გადასცემდა მას, ვინც სამართლიანად ასამართლებს.
2 პეტ. 1:3	ისე, როგორც მისმა დვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც დაპავშირებულია სიცოცხლესა და დვთისმოსაობასთან, მისი შემეცნების მეშვეობით...

ღმერთის მთავრობას თან სდევს ღმერთის შეწევნა. ღმერთი გვანიჭებს ჩვენ თავის შეწევნას, რათა კითანამშრომლოთ მის მთავრობასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ჩვენ გვინდა, რომ განვახორციელოთ ღმერთის მთავრობა, ჩვენ გვჭირდება ღმერთისაგან უზრუნველყოფა, ანუ ჩვენ გვჭირდება ღვთაებრივი შეწევნა. პეტრეს მეორე წერილში ავტორი თავდაპირველად გვიჩვენებს ღვთაებრივ შეწევნას. ჩვენ ვხედავთ, რომ ღმერთის ძალა გვამარაგებს ჩვენ ყოველგვარი აუცილებელი შეწევნით. ეს არის ამ წიგნის ძირითადი მნიშვნელობა. გარდა ამისა, პეტრეს მეორე წერილში ნაჩვენებია ღმერთის მთავრობის იმ სურათის გაგრძელება, რომელიც გახსნილია პეტრეს პირველ წერილში. ამრიგად, პეტრეს მეორე წერილში ჩვენ ვხედავთ ღვთაებრივ შეწევნასა და ღვთაებრივ მთავრობას („პეტრეს მეორე წერილის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 1).

## დღეს წასაკითხი

სიტყვა „ყველაფერს“ [1 პეტ. 2:23-ში] იმისათვის არის ჩართული, რომ, გამოყენების წესების თანახმად, ბერძნული ზმნა, ნათარგმნი როგორც „გადასცემდა“, მოითხოვს დამატებას. სიტყვა „ყველაფერი“ აღნიშნავს უფლის ყველა ტანჯვას. უფალი ყველა შეურაცხყოფას, რომელსაც ის განიცდიდა, და ყველა წევნას, გადასცემდა მას, ვინც ასამართლებს სამართლიანად თავის მთავრობაში – სამართლიან ღმერთს – რომელსაც ის ექვემდებარებოდა. აქედან ჩანს, რომ როდესაც ცხოვრობდა ადამიანური ცხოვრებით დედამიწაზე, უფალი აღიარებდა ღმერთის მთავრობას.

მე ცოტათი ვწუხვარ იმის გამო, რომ როდესაც კითხულობთ ამ მუხლს, თქვენ, შესაძლოა, არ აქცევთ ყურადღებას სიტყვას „ასამართლებს“. ჩვენ მივეჩვიეთ იმის თქმას, რომ ყველაფერს გადავცემთ უფალს, რომელიც არის ერთგული, მოწყალე, ან კეთილი. როდესმე გითქამთ: „მე ყველაფერს გადავცემ ღმერთს, რომელიც ასამართლებს სამართლიანად“? მე არა მგონია, რომ ჩვენ შორის ბევრს პქონდეს ეს გაეთებული. ჩვენ არ ვლოცულობთ ასეთი ლოცვით, ვინაიდან ჩვენი ლოცვა, ჩვენი გამოხატულება და ჩვენი სიტყვები კვლავინდებურად ძალიან ტრადიციულია. შედეგად ჩვენ მცირედ ვიყენებთ აზრებსა და გამოთქმებს წმინდა სიტყვიდან.

როდესაც უფალი იესო იტანჯებოდა დედამიწაზე, ის ყველაფერს გადასცემდა მას, ვინც ასამართლებს სამართლიანად. ეს რამდენიმე სიტყვა გვიჩვენებს არა მარტო იმას, რომ უფალი ცხოვრობდა სიცოცხლით, რომელიც არის ჩვენთვის ნიმუში, არამედ იმასაც, რომ თავის სიცოცხლეში ის მთლიანად ემორჩილებოდა ღმერთის მთავრობას. თვითონ ის ყოველთვის ემორჩილებოდა ღმერთის მთავრობას, და ყველაფერს, რაც მასთან იყო დაკავშირებული, გადასცემდა ღმერთის სასამართლოს.

1 პეტ. 4:12-ში პეტრე ამბობს: „საყვარელნო, ნუ გაგიკვირდებათ თქვენზე მოვლენილი გამოცდა ცეცხლით, თითქოს უცნაური რამ მოგსვლოდეთ“... სიტყვა, ნათარგმნი აქ როგორც „გამოცდა ცეცხლით“, ნიშნავს წვას. აქ იგულისხმება წვი სადნობ დუმელში, ოქროსა და ვერცხლის გაწმენდისათვის; ეს გამოთქმა ჰგავს მეტაფორას, რომელიც გამოყენებულია 1:7-ში. პეტრე მორწმუნების დევნას მიიჩნევდა ასეთ ანთებულ დუმელად, რომელსაც იყენებდა ღმერთი, რათა გაეწმინდა მათი სიცოცხლე. ასეთია ზომები, რომლებსაც ღმერთი იყენებს მორწმუნების მიმართ,

როდესაც ის ახორციელებს თავისი სამთავრობო მმართველობის სასამართლოს, რომელიც იწყება მისი საკუთარი სახლიდან (4:17-19).

ღმერთი იყენებს ცეცხლით გამოცდას როგორც ზომებს, რომლებსაც ის იყენებს არა ცოდვილებისა და მოწინააღმდეგების მიმართ, არამედ მორწმუნების მიმართ, თავისი ოჯახის წევრების მიმართ. ანთებული ღუმელი არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ღმერთი ახორციელებს თავისი სამთავრობო მმართველობის სასამართლოს. თავის სამთავრობო მმართველობაში ღმერთი იყენებს ცეცხლით გამოცდას ღუმელის სახით, რათა გაწმინდოს მორწმუნები ნებისმიერი მინარევისაგან, რომლებიც შეიძლება მათ პქონდეთ. დიახ, როგორც ქრისტეში მორწმუნები, ჩვენ ვართ ოქრო, მაგრამ ჩვენში კვლავინდებურად არის მრავალი მინარევი. ამიტომაც ჩვენ უნდა გავიწმინდოთ მათგან. ჩვენი განწმენდა შეუძლებელია უბრალოდ სწავლების, ურთიერთობისა და ეკლესიის კრებებზე დასწრების მეშვეობით. ჩვენ უველამ უნდა გავიაროთ ეს ანთებული ღუმელი. ღმერთი გვათავსებს ჩვენ ამ ანთებულ ღუმელში, ანუ გვცდის ჩვენ ცეცხლით, რათა წვის მეშვეობით მოგვაშოროს ჩვენ მინარევები. პეტრე ამას განიხილავს როგორც სასამართლოს სამთავრობო ზომების ფარგლებში, რომლებსაც ღმერთი იყენებს მორწმუნების მიმართ („პეტრეს პირველი წერილის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 223-224, 331-332).

## პგირა 2 – დღე 3

### დილის საკვები

1 პეტ. 5:6	მაშ, დამდაბლდით ღმერთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა მან თავის დროზე ადგამაღლოთ თქვენ.
ებრ. 12:6	ვინაიდან ვინც უყვარს, იმას სჯის უფალი, და სცემს ყოველ ძეს, რომელსაც იღებს.

ღმერთის სასამართლო ხორციელდება იმ ვითარებაში, რომელიც მოწყობილია ღმერთის ყოვლისმპყრობელობის თანახმად... 1 პეტ. 5:6-ში ღმერთის ძლევამოსილი ხელი არის ღმერთის მმართველი ხელი, რომელიც განსაკუთრებით ვლინდება ღმერთის სასამართლოში.

ღმერთის ხელი ძლევამოსილია იმაში, რომ გადაგვარჩინოს ჩვენ. მაგრამ ჩვენ მისი ხელის უფრო დიდ ძლევამოსილებას ვხედავთ მის სასამართლოში. დავუშვათ, ერთი ძმა, რომელიც დიდი ხანია, უკვე გადარჩენილია, აგრძელებს ქვეყნიური გასართობებით ტკბობას. ის ჭეშმარიტად გადარჩენილია, მაგრამ კვლავინდებურად უყვარს ქვეყნიერება. მაგრამ ერთხელაც ის ხვდება ღმერთის ძლევამოსილი ხელის მიერ მოწყობილ სავტომობილო ავარიაში, და ამ ავარიის წყალობით ის ახლა იწყებს უფლის უფრო ღრმად ძებნას, ვიდრე ადრე. ეს არის იმის ილუსტრაცია, თუ როგორ ვლინდება ღმერთის ძლევამოსილი ხელი ღმერთის სასამართლოში.

პეტრეს მიერ 5:6-ში ნათქვამის თანახმად, რომელიც დაკავშირებულია ღმერთის ძლევამოსილი ხელის ჩვენ მიერ განცდასთან, ჩვენ უნდა გავაკეთოთ სამი რამ. პირველი, ჩვენ უნდა დაგმდაბლდეთ ღმერთის ძლევამოსილი ხელის ქვეშ. მეორე, ჩვენ ღმერთს უნდა გადავცეთ მთელი ჩვენი შფოთვა. მესამე, ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად და მდვიძარედ. ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ხდება, არის ღმერთის ძლევამოსილი ხელის ქვეშ. ჩვენ არ უნდა ვიშფოთოთ და არ უნდა ვწუხდეთ. ჩვენ უბრალოდ უნდა დაგმდაბლდეთ ღმერთის ძლევამოსილი ხელის ქვეშ და არ უნდა შევეწინააღმდეგოთ მას. შემდეგ ჩვენ უფალს უნდა გადავცეთ ჩვენი ყველა უბედურება, რომლებიც იწვევს ჩვენში შფოთვას. გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად და მდვიძარედ („პეტრეს პირველი წერილის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 371-372).

## დღეს წასაკითხი

მიუხედავად იმისა, რომ მეორე რჯულიში ჩვენ ვერ ვიპოვით გამოთქმა „სამთავრობო მმართველობას“, ამ წიგნის დეტალურად წაკითხვისას დავინახავთ, რომ ეს არის წიგნი ღმერთის მმართველობაზე, უფრო მეტიც, ღმერთის სამთავრობო მმართველობაზე. სიყვარულზე მოსეს მრავალჯერ უსაუბრია დიად, ხოლო ღმერთის სამთავრობო მმართველობა არის რაღაც, რაც ნაგულისხმევია. თუ ჩვენ ჩავუდრმავდებით ამ წიგნს, ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ის ზომები, რომლებსაც ღმერთი იყენებს აქ თავისი ხალხის მიმართ, არის თავისებური სამთავრობო მმართველობა.

ვინაიდან ღმერთი ბრძნია, ის არ ანებივრებს თავის შვილებს. ის არის სრულმყოფი მამა, რომელსაც უყვარს თავისი შვილები და იყენებს მათ მიმართ სამთავრობო ზომებს... ის გვხვის ჩვენ სრულყოფის მიზნით.

ვინაიდან ღმერთს უყვარდა [ისრაელის შვილები], ის არ აძლევდა მათ ნებას, რომ გაქცეოდნენ სასჯელს თავიანთი შეცდომებისათვის. მოსეც კი დაისაჯა ღმერთის მიერ თავისი შეცდომის გამო რიცხ. 20:1-13-ში. მოსე განრისხდა ამბოხებულ ხალხზე, და, ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა კლდისთვის, როგორც მას ღმერთმა უბრანა, მან მეორედ დაარტყა კლდეს. ამან შეურაცხეო ღმერთი, და შედეგად მოსემ დაკარგა უფლება, რომ შესულიყო კეთილ მიწაზე... ეს იყო ღმერთის სამთავრობო მმართველობის განხორციელების ნიმუში.

რჯლ. 3:23-29-ში ჩვენ ვხედავთ, რომ მოსეს აკრძალული ჰქონდა ღმერთის მიერ დაპირებულ კეთილ მიწაზე შესვლა... ის, რომ ღმერთმა გამოუცხადა აკრძალვა ამ საკითხში, გვიჩვენებს ღმერთის სამართლიან სამთავრობო მმართველობას. მოსემ რიცხ. მე-20 თავში დაუშვა სერიოზული შეცდომა, რომელიც ღმერთმა ვერ აიტანა, ვინაიდან

ის ეხებოდა ღმერთის მმართველობას. ღმერთის სამთავრობო მმართველობა სამართლიანია, და მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს უყვარდა მოსე, ამ მიზეზით ის ვერ იტურდა უარს თავისი მმართველობის გამოყენებაზე. მოსე ერთგულად ემსახურებოდა ღმერთს ორმოცი წლის განმავლობაში, მაგრამ იმის გამო, რომ მისი შეცდომა შეეხო ღმერთის სამთავრობო მმართველობას, მან დაკარგა კეთილ მიწაზე შესვლის უფლება.

ზომებმა, რომლებიც გამოიყენა ღმერთმა მოსესთან მიმართებით, როდესაც არ მისცა მას კეთილ მიწაზე შესვლის უფლება, აღძრა ისრაელის შვილები, რომ უფრო მეტად შეშინებოდათ ღმერთის სამართლიანი ზომებისა. რა თქმა უნდა, ღმერთი არის მოსიყვარულე ღმერთი, მაგრამ მისი სიყვარული არის სრულმყოფი სიყვარული, და არა გამანებივრებელი სიყვარული. ზომებმა, რომლებიც მიიღო ღმერთმა მოსესთან მიმართებით, ხელი შეუწყო ისრაელის შვილების სრულყოფას. მათ აქედან უნდა გაეთავისებინათ, რამდენად საშიში იყო სამართლიანი ღმერთი თავის სამთავრობო ზომებში („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 15-16, 37-38).

## გვირა 2 – დღე 4

### დილის საკვები

1 2:4	პეტ. ...რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონ აზიდა ძელზე თავისი სხეულით, რათა ცოდვისათვის მკვდრებმა, ვიცოცხლოთ სამართლიანობისათვის; მისი ჭრილობებით განიკურნეთ.
1 2:28	თუ იცით, რომ ის სამართლიანია, ისიც იცოდეთ, რომ სამართლიანობის ყოველი მოქმედი მისგანაა შობილი.

გამოთქმა „ცოდვისათვის მკვდრები“ [1 პეტ. 2:24-ზი] სიტყვასიტყვით ნიშნავს „ცოდვისაგან შორს მყოფებს“. როდესაც ქრისტემ აზიდა ჩვენი ცოდვები ჯვარზე და მოკვდა, ამ სიკვდილმა მრავალი რამ აღასრულა. ქრისტეს სიკვდილმა ჩვენ ბოლო მოგვიღო, და ამ ბოლოს მოღებას შეუძლია ჩვენ გვამყოფოს ცოდვისაგან შორს. იმისათვის, რომ ადამიანები დარჩნენ ცოდვებისა და ცოდვისაგან შორს, მათვის უმჯობესია, რომ იყვნენ მოკვდინებული. რამდენი ცოდვაც არ უნდა ჩაიდინოს

ადამიანმა, როდესაც ის კვდება, სიკვდილი გამოყოფს მას ცოდვებისაგან. პეტრე საუბრობს იმაზე, რომ ჩვენ ვიმყოფებით ცოდვებისაგან შორს, ხოლო პავლე საუბრობს იმაზე, რომ მკვდარი თავისუფალია ცოდვისაგან. ქრისტეს სიკვდილს შეუძლია, რომ ცოდვებისაგან შორს გვამყოფოს, რათა ჩვენ ვიცხოვროთ სამართლიანობისათვის. ერთი შეხედვით, როდესაც ჩვენ ვრჩებით ცოდვისაგან შორს, ეს ბოლოს გვიდებს ჩვენ, სინამდვილეში ეს გვაცოცხლებს ჩვენ, რათა ვიცოცხლოთ სამართლიანობისათვის („პეტრეს პირველი წერილის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 226-227).

## დღეს წასაკითხი

ჯვრის სუბიექტური ასპექტი გძელდება დღეს ჩვენს განცდაში სულის წყალობით. მაცოცხლებელი სული გამუდმებით მუშაობს ჩვენში და ახორციელებს ჩვენს არსებაში ქრისტეს ჯვრის სუბიექტურ ასპექტს. ჩვენ ყოველდღე ვექვემდებარებით ქრისტეს ჯვრის შინაგან სამუშაოს, და ყოველდღე ჩვენ ვცოცხლდებით, რათა ვიცხოვროთ სამართლიანობისათვის. ამიტომ ცოდვების დამარცხება არ არის ძნელი, ვინაიდან ქრისტეს სიკვდილი გვამყოფებს ჩვენ ცოდვებისაგან შორს. ქრისტეს სიკვდილმა ჩვენსა და ცოდვებს შორის გაავლო გამყოფი ხაზი. ვინაიდან ჩვენ ვიმყოფებით ცოდვებისაგან შორს, ახლა ჩვენ ვართ ცოცხლები. ჩვენ არ გვჭირდება, რომ ვიბრძოდოთ ან შევეცადოთ საკუთარი თავის ენერგიით დამუშებვას. ჩვენ უბრალოდ ვცხოვრობთ, და ამ სიცოცხლეს აქვს გამუდმებული მიღრეკილება სამართლიანობისაკენ. ასე განვიცდით ჩვენ ჩვენი მხსნელის მიერ ყოველდღიურ გადარჩენას.

ჩვენ უნდა გვქონდეს არა მარტო ობიექტური ჯვარი, არამედ სუბიექტური ჯვარიც. ობიექტური ჯვარი უნდა გახდეს ჩვენთვის სუბიექტური ჩვენს განცდაში. ამისათვის საჭიროა, რომ მაცოცხლებელმა სულმა იმუშაოს ჩვენში. როდესაც ჩვენ მოვუხმობთ უფალ იქსოს სახელს და ვურთიერთობთ მასთან, მაცოცხლებელი სული მოქმედებს ჩვენში. ჩვენ თავისთავად განვიცდით ჯვრის სუბიექტურ სამუშაოს, რომელიც გამოგვყოფს ცოდვებისაგან, რისი წყალობითაც ჩვენ ავტომატურად ვცხოვრობთ სამართლიანობისათვის.

ახლა ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ რატომ იყენებდა პეტრე გამოთქმას „ვიცოცხლოთ სამართლიანობისათვის“. ეს დაკავშირებულია ღმერთის სამთავრობო მოთხოვნების შესრულებასთან. სინამდვილეში ღმერთის მთავრობა მოითხოვს მხოლოდ ერთ რამეს – სამართლიანობას. აი, რატომ არის ნათქვამი 2 პეტ. 3:13-ში: „მაგრამ ჩვენ, მისი დაპირებისამებრ, მოველით ახალ ცასა და ახალ მიწას, სადაც დამკვიდრებულია სამართლიანობა“. 1 პეტ. 2:23-ში ჩვენ ვხედავთ, რომ უფალი იქსო მუდმივად მას გადასცემდა ყველაფერს, ვინც სამართლიანად ასამართლებს. შემდეგ, 24-ე მუხლში, პეტრე ამბობს, რომ ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ სამართლიანობისათვის. აქ პეტრეს წარმოდგენა ეფუძნება ფიქრებს მთავრობაზე; სამართლიანობა დაკავშირებულია ღმერთის მთავრობასთან. ჩვენმა მხსნელმა გადაგვარჩინა ჩვენ, რათა გვეცხოვრა სიცოცხლით, რომელიც შეესაბამება ღმერთის მთავრობის სამართლიან მოთხოვნებს.

ღმერთი სამართლიანია, და მისი მთავრობა უფუძნება სამართლიანობას. ფსალ. 89:14-ში ნათქვამია, რომ სამართლიანობა არის ღმერთის ტახტის საძირკველი. ამიტომ, ვინაიდან ჩვენ ვართ ღმერთის ხალხი, რომელიც ცხოვრობს ღმერთის მთავრობის ქვეშ,

ჩვენ უნდა ვიცხოვროთ სამართლიანი ცხოვრებით. ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ სამართლიანობისათვის. მაგრამ ვინაიდან ჩვენ თვითონ ვერ ვიცოცხლებთ ასეთი სიცოცხლით, მხენელი გადაგვარჩენს ჩვენ, რათა ვიცოცხლოთ სამართლიანობის სიცოცხლით, ანუ სიცოცხლით, რომელიც ადასრულებს ღმერთის მთავრობის სამართლიან მოთხოვნებს.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ქრისტემ, ჩვენმა მხენელმა, მთელი ჩვენი ცოდვები აზიდა ძელზე და მოკვდა იქ ჩვენ ნაცვლად. ახლა მისი სიკვდილი გამოგვყოფს ჩვენ ცოდვებისაგან და გვაცოცხლებს ჩვენ, რათა ვიცოცხლოთ სამართლიანობისათვის. ჩვენ თავისთავად ვართ ღმერთის მთავრობის ქვეშ, და არა გვაქვს არანაირი კონფლიქტი ღმერთის მთავრობასთან, ვინაიდან ვცოცხლობთ სამართლიანობისათვის („პეტრეს პირველი წერილის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 227-229).

## კვირა 2 – დღე 5 დილის საკვები

ებრ. 12:10	...ის კი [გვიჯის] ჩვენი სარგებლობისათვის, რათა მის სიწმიდეს ვეზიაროთ.
ოჯლ. 9:3	...იცოდე, იგჰოვა, შენი ღმერთი, წინ მიგიძლვის როგორც შთანმთქმელი ცეცხლი...
7:9	...ღმერთი არის იგჰოვა, შენი ღმერთი, ერთგული ღმერთი, რომელიც მეათასე თაობამდე იცავს აღთქმასა და სასიყვარულო ზრუნვას მათვის, ვისაც უყვარს ის და ვინც იცავს მის მცნებებს.

1 პეტ. 1:15-სა და 16-ში ნათქვამია: „არამედ იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორი წმიდაცად იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ, ვინაიდან დაწერილია: „იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე“. წმიდა არის სამერთიანი ღმერთი: ამომრჩეველი მამა, გამომსყიდველი ძე და გამაწმიდანებელი სული (1 პეტ. 1:1-2). ჩვენ ვხდებით წმიდები სულის მიერ გაწმიდანების შედეგად ხელახლა შობის საფუძველზე, რომელსაც მოაქვს ჩვენთვის ღმერთის წმიდა ბუნება და შევყავართ წმიდა ცხოვრებაში. მამამ ხელახლა გვშვა ჩვენ და ახლა გაჩნდა წმიდა ოჯახი, წმიდა მამა წმიდა შვილებთან ერთად... შინაგანად მან გვშვა ჩვენ სიცოცხლით, რათა გვქონდეს მისი წმიდა ბუნება;

გარეგნულად ის გვწვრთნის ჩვენ, რათა ვეზიაროთ მის სიწმიდეს (ებრ. 12:9-10) („დასკვნითი შეტყობინებები ახალი აღთქმის თანახმად“, გვ. 103-104).

## დღეს წასაკითხი

1 იოანეს 1:9-ში ასევე გახსნილია ღმერთის ერთგულება: „თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და სამართლიანი, მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უსამართლობისაგან“. ღმერთი ერთგულია იმაში, რაც დაკავშირებულია მის სიტყვასთან (1 იოანე 1:10), მისი სახარების ჭეშმარიტების სიტყვასთან (ეფეს. 1:13), რომელშიც ნათქვამია, რომ ქრისტეს წყალობით ის გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს (საქმე. 10:43). თუ ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, ის, თავისი სიტყვის თანახმად, გვაპატიებს, ვინაიდან ის ერთგული უნდა იყოს იმაში, რაც დაკავშირებულია მის სიტყვასთან.

1 კორ. 10:13-ში პავლე ამბობს: „არ გქონიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; და ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელთან ერთად გამოსავალსაც მოგცემთ, რომ გადატანა შეძლოთ“. ერთი მხრივ, ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ არ ვცდუნდეთ, რათა არ დავეცეთ. მეორე მხრივ, ღმერთი, თავისი ერთგულების თანახმად, არ დაუშვებს, რომ იმაზე მეტი განსაცდელი დაგვატყდეს, ვიდრე ატანას შევძლებდეთ, არამედ განსაცდელთან ერთად გამოსავალსაც გვაძლევს. ეს არის დაპირებისა და გამხნევების სიტყვა.

1 თეს. 5:23-სა და 24-ში ნათქვამია: „თავად მშვიდობის ღმერთმა დაე გაგაწმიდანოთ მთლიანად და თქვენი სული, და სამშვინეული, და სხეული დაე დაცულ იქნეს სრულად, უბიწოდ, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, მოსვლისას. ერთგულია ის, ვინც მოგიწოდათ, რომელიც აღასრულებს კიდეც ამას“. აქედან ჩანს, რომ ერთგული ღმერთი, რომელმაც მოგვიწოდა, გაგვაწმიდანებს ჩვენ მთლიანად და დაიცავს მთელ ჩვენს არსებას სრულად... უდავოა, ეს დგთაებრივი ერთგულება არის ღმერთის ტკბილი თვისება („დასკვნითი შეტყობინებები ახალი აღთქმის თანახმად“, გვ. 93-94).

რჯლ. 7:9-15-ში მოსეს სურდა, რომ ხალხს გაეცნობიერებინა, რომ ღმერთი არის იეჰოვა, მათი ღმერთი, ერთგული ღმერთი, რომელიც იცავს აღთქმასა და სასიყვარულო მზრუნველობას მეათასე თაობამდე მათთან მიმართებით, ვისაც უყვარს ის, და ვინც ასრულებს მის მცნებებს; რომ ის შეიყვარებდა მათ, აკურთხებდა და გაამრავლებდა მათ; რომ ის აკურთხებდა მათი მუცლის ნაყოფს და მათი მიწის ნაყოფს: მათ ხორბალს, და მათ ახალ ღვინოს, და მათ ახალ ზეთს, მათ მსხვილფეხა საქონლის ნამატს და მათ წვრილფეხა საქონლის მონაგებს – და რომ მოაშორებდა მათ ყოველგვარ ავადმყოფობასა და დამდუპველ ეგვიპტურ სნეულებებს.

დღეს ღმერთს ვუყვარვართ ჩვენ, გვაკურთხებს და გვამრავლებს ჩვენ, ვინაიდან ჩვენ „ვიცავთ“ მის ქრისტეს. სწორედ ქრისტეში ვიდებთ ჩვენ ღმერთის კურთხევებს და ვტკბებით ამ კურთხევებით. ღმერთი ჩვენთანაა ქრისტეში. ღმერთის მადლი და მშვიდობა გვეძლევა ჩვენ ქრისტეში. ამიტომ ჩვენ მართალი უნდა ვიყოთ ღმერთთან მიმართებით, როდესაც ვიღებთ ქრისტეს. ერთადერთი მცნება, რომელსაც დღეს ღმერთი აძლევს ქვეყნიერებას, არის ის, რომ იორწმუნონ მის ძეში და მიიღონ ის. სინამდვილეში, ღმერთის მცნება არის თვით ქრისტე. ჩვენ უნდა მივიღოთ ის, „დავიცვათ ის“ და უნდა

ვიყოთ მართალი მასთან მიმართებით. ამის გაკეთებით ჩვენ ვიქნებით მართალი ღმერთთან მიმართებით, და მას ვეყვარებით ჩვენ და გვაკურთხებს ჩვენ („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 62-63).

## პგირა 2 – დღე 6

### დილის საკვები

<b>რჯლ.</b> 7:7	...შეგიყვარა და გამოგარჩია იქჲოვამ...
<b>იერ.</b> 31:3	შორიდან მეჩვენა იქჲოვა და მითხრა: „მარადიული სიყვარულით შეგიყვარე და ამიტომაც მიგიზიდე სასიყვარულო მზრუნველობით.
<b>1 კორ.</b> 1:7-8	...ჩვენი უფლის, იესო ქრისტესი, რომელიც ბოლომდე განგამტკიცებთ, რათა უმწიკვლონი იყოთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, დღეს.

მეორე რჯული საუბრობს ღმერთზე, როგორც სიყვარულისა და სამართლიანობის ღმერთზე. ამის დასტური არის ის, თუ როგორ წარმართავდა წარსულში ღმერთი ისრაელის შვილებს, და ის, თუ როგორ გამოიყენებს მომავალში ის მათ მიმართ ზომებს თავის სიყვარულსა და თავის მმართველობაში. ღმერთის სიყვარული ახორციელებს მმართველობას მათ შორის, ვინც უყვარს ღმერთს, მათი ერთგულების შესაბამისად. იგივე პრინციპი მოქმედებს ჩვენთან მიმართებითაც დღეს.

როგორც სიყვარულის ღმერთი, ის არის ყოვლისმომცველი, მაგრამ როგორც სამართლიანობის ღმერთი, ის არის ძალიან მკაცრი და ვიწრო... თავის სამართლიანობაში ის ხშირად ამბობს „არას“, როდესაც ჩვენ რაღაცის გაკეთება გვინდა.

ზოგიერთი წმიდანი, უფლის აღდგენაშიც კი, ძალიან თავისუფლად იქცევა და არ ეშინია ღმერთის. როგორც კი ჩვენ შევეხებით ღმერთის ხელს, რომელიც იყენებს ჩვენ მიმართ თავის ზომებს, ჩვენ შეგვეშინდება მისი. ის ჩვენ მიმართ იყენებს ზომებს სამართლიანად, რათა ჩვენ გავხდეთ სრულყოფილი და ასევე ვიყოთ სამართლიანები. ყველამ, ვისაც განზრახული აქვს, რომ შევიდეს კეთილ მიწაზე და დაიმკვიდროს კეთილი მიწა, დაეუფლოს მას და დატკბეს მისით, უნდა ისწავლოს, რომ იყოს სამართლიანი ყოველმხრივ თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 18).

## დღეს წასაკითხი

ეს წიგნი, მომავლისაკენ მიმართული, გამოხატავს იმის იმედს, რომ ადამიანს, ერთი მხრივ, ეცოდინება ღმერთის სიყვარული და მმართველობა და, მეორე მხრივ, ეცოდინება თავისი ჭეშმარიტი მდგომარეობა, რათა უკვე აღარ იყოს საკუთარ თავზე დაიმედებული. ამრიგად, მეორე რჯულის მიზანი არის ის, რომ ჩვენ გავიცნოთ ღმერთი, და ასევე გავიცნოთ ჩვენი თავი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი არის მოსიყვარულე, და რომ ის არის სამართლიანი თავის ზომებში, რომლებსაც იყენებს ჩვენ მიმართ. ჩვენ ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ თვითონ ჩვენ გამუდმებით ჩავდივართ შეცდომებს. თუ ჩვენ გვეცოდინება ეს, აღარ ვიქნებით საკუთარ თავზე დაიმედებული, არამედ ვიქნებით დაიმედებული ღმერთზე, მასზე, ვინც ერთგულია.

საბოლოოდ ეს წიგნი გვიჩვენებს, რომ ღმერთის სიყვარული წარმოქმნის დამასრულებელ სამუშაოს თავისი ხალხისათვის, რათა ისინი დატკბნენ მისი სრული კურთხევით, მისი ნებისა და მის მიერ წინასწარ ცნობის თანახმად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არა გვაქვს ღმერთის მიმართ სიყვარული და შიში მის წინაშე, და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არა ვართ ერთგულები, ღმერთი მიაღწევს წარმატებას. როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდეს ღმერთის ხალხი, ღმერთი ერთგული იქნება ბოლომდე, და საბოლოოდ ის განახორციელებს თავის ჩანაფიქრს, რათა ჩვენ დავტკბეთ მისი სრული კურთხევით.

მეორე რჯულში მოსე მკაცრად საყვედურობს ხალხს. მაგრამ ამ წიგნის ბოლოს ჩვენ ვხედავთ მოსეს სიმღერას და მის მიერ სრულ კურთხევას ყოველი ტომისათვის. საბოლოოდ ღმერთის მიერ ამორჩეული და გამოსყიდული ხალხი შევიდა წმიდა მიწაზე, დაეუფლა მას, ცხოვრობდა მასში და ტკბებოდა მისით. ეს არის ღმერთის წარმატება, და მხოლოდ ღმერთს აქვს უფლება, რომ ვაქოთ და ვადიდოთ ის.

მეორე რჯულში გახსნილია იგივე, რაც გახსნილია მთელ ბიბლიაში. მთელი ბიბლია გვიჩვენებს, რომ ღმერთი არის მოსიყვარულე, სამართლიანი და ერთგული. ბიბლია ასევე ამხელს იმას, რომ ჩვენ არა ვართ ერთგულები. ის გვიჩვენებს, რამდენი მარცხი განვიცადეთ წარსულში და რამდენ შეცდომას დავუშვებთ მომავალში. მაგრამ ამ ყველა ორგულობის, მარცხისა და შეცდომის მიუხედავად, ღმერთი მაინც შეაძლებინებს მის მიერ ამორჩეულ ხალხს, რომ ისინი შევიდნენ მდიდარ ქრისტეში, რათა დაეუფლონ მას, დატკბნენ მისით, განიცადონ ის და იცხოვონ კიდევ ის.

თუ „შევადარებთ მეორე რჯულის წიგნს გამოსვლის, ლევიანებისა და რიცხვის წიგნებთან, დავინახავთ, რომ კანონი, დადგენილებები და წესები, რომლებიც მოსემ გაიმეორა მეორე რჯულში, იგივეა, მაგრამ კანონის გამეორებაში არის ზოგიერთი დამატება და დეტალი. ყველა გამეორებული დადგენილება და წესი, ახალი დეტალებით, დაწვრილებით საუბრობს იმაზე, თუ როგორი დახვეწილი, ნაზი, მზრუნველი და თანამგრძნობია ისრაელის დიადი დმერთი. ეს გვიჩვენებს, რომ მეორე რჯული არის განსაკუთრებული წიგნი გამოცხადების თვალსაზრისით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია დმერთი. დმერთი, რომელიც ამ წიგნშია ნაჩვენები, არა მარტო მოსიყვარულე, მოწყალე და კეთილგანწყობილია; ის ასევე დახვეწილი, ნაზი, მზრუნველი და თანამგრძნობია. ასეთია ჩვენი დმერთი („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 19-20, 192).